პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977
ხუთშაბათი
3
თებერვალი
№ 28
(16765)
ფასი
2 კაპ.
1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ვარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მთელი მუშაობა სახელოვან იუბილეს მომზადება-მოწყობისათვის მოხმარდეს შრომითი შემოქმედებითი ენერგიის მოგიდინებას ამ-მიზნით, რომ ხორცი შევასხათ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, წარმატებით შევასრულოთ მათთვის ხუთწლედი, უზრუნველვყოთ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ზრდა, დავაჩქაროთ ტექნიკური პროგრესი, ავამაღლოთ მუშაობის ეფექტიანობა და ხარისხი, განუხრელად ვაუმჯობესოთ ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და ავამაღლოთ მისი კულტურული დონე.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 31 იანვრის დადგენილებიდან.

ოქტომბრის დროშით

ბატონო ადამიანები, მთელი პროგრესული კაცობრობა ემზადებიან ზეიმით აღნიშნონ დიდი და ხხივმოსილი თარიღი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამოცე წლისთავი. ეს არის ჩვენი ხალხის ცხოვრების, მთელი მსოფლიო-განმათავისუფლებელი მოქმედების განვითარების დიდმნიშვნელოვანი ნიშნსვეტი, რევოლუციური ბრძოლისა და კომუნისტური აღმშენებლობის უდიდესი დღესასწაული.

გუშინ გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“, რომელსაც მილიონობით მშრომელი დიდი ინტერესით და აღფრთოვანებით შეხვდა. ამ უმნიშვნელოვანეს იდეურ-თეორიულ და პოლიტიკურ დოკუმენტში მკაფიოდ არის დახასიათებული, თუ რა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს ოქტომბერს, როგორც XX საუკუნის მთავარ მოვლენას, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა კაცობრობის განვითარების მიმდინარეობა, და დამჯერებლად არის გაშუქებული მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ძალა.

ისტორიის ყოველი წელი, ყოველი ნაბიჯი სულ უფრო სრულად უჩვენებს მსოფლიოს, თუ რაოდენ დიდია ოქტომბრის რევოლუცია, რომელიც გლეხობასთან შეკავშირებულმა რუსეთის მუშათა კლასმა მოახდინა ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „რაც უფრო გვშორდება ეს დიადი დღე, მით უფრო ცხადი ხდება რუსეთის პროლეტარული რევოლუციის მნიშვნელობა, მით უფრო ღრმად ვუფიქრდებით აგრეთვე ჩვენი მუშაობის პრაქტიკულ გამოცდილებას, მთლიანად აღებულს“.

შექმნა რა ქვეყნად პირველი სოციალისტური სახელმწიფო, ოქტომბერმა დაიწყო ახალი ეპოქა — კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე კაცობრობის გადასვლის, იმპერიალიზმისაგან მშრომელთა განთავისუფლებისათვის, ხალხთა შორის ომების შეწყვეტისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის ბრძოლის ეპოქა.

ოქტომბრის გამარჯვებამ ხორცი შეასხა მუშათა კლასის მსოფლიო-განმათავისუფლებელ მისიას. საბჭოთა ხელისუფლებამ, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ერთ-ერთმა ფორმამ, საქმით უზრუნველყო მშრომელთა ნამდვილი თავისუფლება და დემოკრატია, გამოავლინა მასების მძლავრი ენერგია. და ჩვენმა ხალხმა კომუნისტთა პარტიის მეთაურობით წარმატებით შეასრულა სოციალისტური რევოლუციის უმთავრესი, ურთულესი ამოცანა — აღმშენებლობის ამოცანა. განხორციელდა სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმა, რომელიც საზოგადოების ცხოვრების ყველა ძირითად სფეროს მოიცავს. საბჭოთა გადაიქცა მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ, რომელმაც დიდ სამეფო ომში არა მარტო დაიცვა თავისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, არამედ გადაწყვეტი წვლილი შეიტანა ფაშისტური ბარბაროსობისაგან მსოფლიო ცივილიზაციის ხსნაში.

ოქტომბრის დროშაზე წარწერილი იდეები ცოცხლობს და იმარჯვებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სოციალისტური საზოგადოების დინამიკური განვითარების, ეკონომიკაში, მეცნიერებასა და კულტურაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში ჩვენი მიღწევების ფართო პანორამას გვაცნობს. საბჭოთა კავშირი დღეს განსაკუთრებით ძლიერი და მტკიცეა, განსაკუთრებით ძალია მისი ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე. ყოველივე ეს აღგვავსებს ნიამაყით, კიდევ უფრო ამაღლებს მშრომელთა რევოლუციურ პატიოსტიკულ სულისკვეთებას, მათს შრომითს და პოლიტიკურ აქტიურობას.

სამოცი წლის მანძილზე ოქტომბრის სამშობლომ საუკუნეთა ტოლი გზა განვლო. მისი უმნიშვნელოვანესი შედეგია განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების აშენება, რომელიც ყოველმხრივ არის დახასიათებული პარტიულ დოკუმენტში. ახალი საზოგადოების მშენებლობის მატიანეში უაღრესად ფასეულია ეს ფაქტი. ამ ეტაპზე ეკონომიკის ინტენსიფიკაციისა და ეფექტიანობის ამაღლების ამოცანა ერთ-ერთ ადგილს დაიკავებს უკანასკნელი ათეული წლების ბრძოლაში. ამ წლებში პრაქტიკულად გაორკეცდა ჩვენი ნახევარი საუკუნის განმავლობაში შექმნილი ქვეყნის ეკონომიკის პოტენციალი, არსებითად ამაღლდა ხალხის ცხოვრების დონე. განვითარებული სოციალიზმის თეორიის შემუშავება და მისი პრაქტიკული განხორციელება დიდი შემოქმედებითი წვლილია მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში. შექმნილმა გამოცდილებამ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას საშუალება მისცა განესაზღვრა უახლოეს პერიოდში და უფრო ხანგრძლივი ისტორიული პერსპექტივისათვის მოქმედების ნათელი, მეცნიერულად დასაბუთებული კურსი. სამშობლოს ინდუსტრიების შემდგომი განმტკიცების, მშრომელთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების ყველა უფრო სრულად დაკმაყოფილების სწორი გზა წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარება, მისი ეფექტიანობის ამაღლება, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება, შრომის ნაყოფიერების სწრაფი ზრდა.

დიდი და ნაყოფიერია ქვეყნის სოციალური განვითარების მიღწევები. ჩამოყალიბდა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი. სოციალიზმისათვის ერთობლივ შრომასა და ბრძოლაში გამოიკვეთა ყველა საბჭოთა ხალხის ნამდვილად ძმური, მონოლითური კავშირი, ყალიბდებოდა და იწრთობოდა საბჭოთა ადამიანი — პატრიოტი და ინტერნაციონალისტი. სოციალისტური დემოკრატია პიროვნების ყოველმხრივი აყვავების პირობებს ქმნის.

საბჭოთა სახელმწიფოს გმირული ისტორია, ჩვენი ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი მიღწევები განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის — სოციალისტური საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის საქმიანობასთან. ოქტომბერმა იმიტომ გაიმარჯვა, რომ მას სათავეში ჰაუდგა დიდი ლენინის მიერ შექმნილი ახალი ტიპის პარტია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მუშათა კლასის რევოლუციური პარტია, მეფისა საბჭოთა ხალხის მებრძოლი ავანგარდია. მილიონობით მშრომელმა იცის: იქ, სადაც პარტიაა, გამარჯვებაც არის!

ჩვენი წინსვლის კვალობაზე სულ უფრო მაღლდება პარტიის ხელმძღვანელი როლი საზოგადოების ცხოვრებაში. უდიდესი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის—თანამედროვეობის გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის, ერთგული მარქსიტ-ლენინელის, კომუნიზმის საქმისათვის დაუცხრომელი მებრძოლის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაყოფიერ, შემოქმედებითს მუშაობას.

ექვსი ათეული წლის მანძილზე საგრძნობლად შეიცვალა მთელი პლანეტის სახე. ოქტომბრის რევოლუციამ მძლავრი იმპულსი მისცა ამ ღრმა სოციალურ გარდაქმნებს. შეიქმნა და განმტკიცდა სოციალისტური ქვეყნების მოძმე ხალხების მსოფლიო თანამეგობრობა, რომელიც მსოფლიო პოლიტიკის წამყვანი ფაქტორი გახდა. განმტკიცდა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის — თანამედროვეობის -ყველაზე პროგრესული და გავლენიანი ძალის პოზიციები. ახალი პერსპექტივები დაისახა მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაჩაღებისათვის.

სოციალიზმთან ყველა კონტინენტის მშრომელებს დღეს აკავშირებთ ყველაზე ნათელი იმედები. საბჭოეთი გამოდის როგორც მშვიდობის საიმედო ბურჯი და მედროშე, დაძაბულობის შენელებისათვის, ხალხთა უშიშროებისა და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლი. დაძაბულობის შენელების პოლიტიკის განვითარებასა და გაღრმავებაში უდიდესი როლი ეკუთვნის სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებულ მშვიდობის პროგრამას და მის ორგანულ გაგრძელებას — ხალხთა მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამას, რომელიც ჩვენი პარტიის XXV ყრილობამ წამოაყენა.

ПРАВДА
2 თებერვლის მოწინავე

გამოქვეყნებულ დადგენილებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტი ახალი ძალით გამოხატავს მტკიცე ნებას განახორციელოს ლენინური პოლიტიკური კურსი, რომელიც უზრუნველყოფს სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერებისა და განუხრელ განმტკიცებას, კომუნიზმისაკენ მის წარმატებით წინსვლას. საბჭოთა ადამიანები, რომლებიც მხურვალედ და ერთსულოვნად უჭერენ მხარს პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ენერგიულად ახორციელებენ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს. ამას ნათლად ადასტურებს მეათე ხუთწლედის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება.

კანონიერად ამაყობს რა დიდი წარმატებებით, პარტია ამავე დროს რეალისტურად აფასებს მიღწეულს, ხედავს ნაკლოვანებებსა და სიძნელეებს, მიზანდასახულად იბრძვის მათი აღმოფხვრისათვის. XXV ყრილობის კურსის განხორციელების გზაზე მოქმედების სახრძოლო პროგრამა გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, პარტიის მომდევნო დოკუმენტები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა ფართოდ გაჩაღდეს მზადება ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის. პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა უნდა იმუშაონ, რათა მშრომელთა შემოქმედებითი ენერგია მოახმარონ მეათე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებას.

ყველა რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში, თვითეულ შრომითს კოლექტივში უნდა გაჩაღდეს დიდი ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. რაც სახელოვანი თარიღისათვის ვემზადებით, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს გავაძლიეროთ მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა, ყოველმხრივ ვუჩვენოთ ოქტომბრის რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობა, ღრმად გავაშუქოთ კომუნისტური პარტიის რევოლუციურ-გარდამქმნელი საქმიანობა, ცხადვყოთ ხალხის მასების გადამწყვეტი როლი ახალი საზოგადოების მშენებლობაში. როცა ვაძლიერებთ საბჭოთა ადამიანების შრომითსა და პოლიტიკურ აქტივობას, საჭიროა უფრო ენერგიულად გამოვავლინოთ და გამოვიყენოთ რეზერვები, პრინციპულად, საქმიანად გავაკრიტიკოთ ნაკლოვანებანი.

ერთ-ერთი პასუხსაგები იდეურ-აღმზრდელობითი ამოცანა ის არის, რომ დამაჯერებელი პროპაგანდა გავუწიოთ სსრ კავშირის, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მიღწევებს, კაპიტალიზმის წინაშე სოციალიზმის ძირეულ უპირატესობებს. ამასთანავე დასაბუთებული პასუხი უნდა გავცეთ მტრულ იდეოლოგიას, ანტიკომუნიზმსა და ანტისაბჭოურობას, ვამხილოთ ისტორიის ფალსიფიკატორები, რომლებიც ცდილობენ დაკნინონ ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობა, ჩვენი პარტიისა და ხალხის მიერ განვლილი გზა. ამ ამოცანების გადაწყვეტაში დიდი როლი უნდა შეასრულონ ჩვენმა პრესამ, ტელევიზიამ და რადიომ, შემოქმედებითმა კავშირებმა.

პარტია მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას მოუწოდებს — ოქტომბრის მე-60 წლისთავი აღნიშნონ ახალი წარმატებებით შრომაში, მოღწევებით ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, ღირსეულად შეხვდნენ სახელოვან იუბილეს. უპასუხებენ რა ამ მოწოდებას, საბჭოთა ადამიანები სულ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან მშობლიური პარტიის გარშემო. მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ლენინის დროშით ოქტომბრის ლეგენდარულ დღეებში დაწყებული ისტორიული საქმე მიიყვანონ უმაღლეს მიზნამდე — კომუნიზმის გამარჯვებამდე.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „მშრომელთა შეკავშეთების შესრულების ხარისხის გაუმჯობესებისა და მომსახურების კულტურის ამაღლებისათვის რუსეთის სფსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მუშაობის შესახებ“.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პარტიის XXIV და XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა შესაბამისად ქვეყანაში დიდი ღონისძიებანი ხორციელდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარებისათვის, რომლის შემდგომი გაუმჯობესება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა. უკანასკნელ წლებში არსებითად შეიქმნა სახალხო მეურნეობის ახალი დარგი; საყოფაცხოვრებო სამსახურის საწარმოებში დასაქმებულია თითქმის 2,5 მილიონი კაცი, საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა 1977 წელს 6,3 მილიარდ მანეთს გადააჭარბებს.

ამ ამოცანების ვადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება რუსეთის სფსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემას, რომლის წლად მოდის ქვეყნის მშრომელებისათვის გაწეული საყოფაცხოვრებო მომსახურების 40 პროცენტზე მეტი. ასრულებს რა პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს, სამინისტრო ახორციელებს მომსახურების სრულყოფის, საწარმოთა ქსელის გაფართოების, თანამედროვე მოწყობილობით მათი აღჭურვის მთელ რიგ ღონისძიებებს. მარტო მეცხრე ხუთწლედის მანძილზე ამ დარგის განვითარებას მოხმარდა 800 მილიონ მანეთზე მეტი, აშენდა დიდძალი ტანსაცმლის ქიმსაწმენდი და სამრეცხაო, თეთრეულის სამრეცხაო ფაბრიკები, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლები, ატელიეები, სახელოსნოები და მიმღები პუნქტები; საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა გაიზარდა 1,5-ჯერ, აქედან სოფლად — 1,8-ჯერ.

ამასთან სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ რუსეთის ფედერაციის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მიღწეული დონე ჯერ კიდევ ჩამორჩება წაყენებულ მოთხოვნებს, მთლიანად არ იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს მომსახურების სახეობათა გაფართოებისათვის, წარმოების ეფექტიანობისა და შეკვეთების შესრულების ხარისხის ამაღლებისათვის, მშრომელთა მომსახურების უკეთ ორგანიზაციისათვის. მომსახურების ხარისხისა და კულტურის საკითხები ჯერ კიდევ არ გამხდარა რუსეთის სფსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, საწარმოთა ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და ხელმძღვანელი შემადგენლობის საქმიანობის თავაური შინაარსი.

მშრომელები ჩიენან, რომ ბევრი საყოფაცხოვრებო სამსახურის საწარმო დაგვიანებით და უხარისხოდ ასრულებს ტანსაცმლის შეკერვისა და ქიმიური წმენდის, თეთრეულის რეცხვის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნების რემონტის შეკეთებს, შეზღუდულია მომსახურების სახეობანი. საკმარისი არ არის მიმღები პუნქტების ქსელი და მოუხერხებელია მათი მუშაობის რეჟიმი.

ნელა ინერგება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოწინავე, გამოცდილება და პროგრესული ფორმები. შარშან საწარმოთა 16 პროცენტზე მეტმა თავი ვერ გაართვა საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის გეგმებს. ჩიტის, არნახელსა და ოლქებსა და ბურიატეთის ასს რესპუბლიკაში მომსახურების საგეგმო დავალებანი არ შესრულებულა. ბევრგან არ უზრუნველყოფენ საყოფაცხოვრებო სამსახურის ობიექტების ამომქმედებელს, ეფექტიანად არ იყენებენ სიმძლავრეებს, არადამაკმაყოფილებელი რემონტის გამო მოწყობილობის მნიშვნელოვანი ნაწილი ცდება.

რუსეთის სფსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო ჯეროვნად არ ზრუნავს კადრებით საწარმოთა განმტკიცებისათვის, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და სისტემაში შენარჩუნებისათვის.

სრულად არ კმაყოფილდება საყოფაცხოვრებო მომსახურების მოთხოვნილება ნედლეულზე, მასალებზე, ქიმიკატებსა და სპეციალიზებულ ავტოტრანსპორტზე. სისტემატურად არ სრულდება მოწყობილობის, აგრეთვე საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეკეთებისათვის გათვალისწინებული სათადარიგო ნაწილების შემუშავებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემისათვის მისი მიწოდების დავალებანი.

ზოგიერთი ოლქის, ქალაქისა და რაიონის პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანოები ჯეროვნად არ ზრუნავენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის, საყოფაცხოვრებო სამსახურის საწარმოთა კოლექტივებში აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებისათვის, დიდი მომთხოვნელობით არ ეკიდებიან კადრებს დაკისრებული საქმისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ ცნო, რომ აღგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და სამეურნეო ორგანოებმა მთელი ყურადღება დაუთმონ პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელებას, რათა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება, რომელიც ხალხის კეთილდღეობის ამაღლების შესახებ პარტიის XXV ყრილობის მიერ მიღებული პროგრამის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად უფრო სრულად უნდა დაკმაყოფილოთ საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილება საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე, გავაძლიეროთ ორგანიზატორული მუშაობა კომუნისტების, კომკავშირელების, საყოფაცხოვრებო სამსახურის ყველა მუშაკის დასარაზმაციო ხარისხის ძირეული გაუმჯობესებისათვის, მოსახლეობის სანიმუშო მომსახურების უზრუნველყოფისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, სკკპ სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოებს აღმასკომებს, შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს რჩევა მიეცათ განიხილონ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხები, შეიმუშაონ და განახორციელონ საყოფაცხოვრებო სამსახურის ყველა

(დასასრული მე-2 გვ.).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმი მოქმედებაში

გუშინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობების პარტიული კომიტეტების მდივნების შეხვედრა, რომელზეც განიხილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების ამოცანები, იმსჯელეს სოფლის მშრომელთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესების საკითხებზე. იმაზე, თუ როგორ სრულდება საქართველოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის (1975 წელი) დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა მიხედვით საქართველოს სსრ საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის რუსეთის ფედერაციის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ“, აგრეთვე სოციალისტური დისციპლინის გამტკიცების ღონისძიებები.

ეს შეხვედრა პრაქტიკულად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული და საბჭოთა მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი კურსების მსმენელთა ჯგუფის დასკვნითი მეცადინეობა იყო.

შეხვედრაზე გამოვიდნენ მარნეულის რაიონის ბარაფლოს მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივანი **ი. გონჩაროვი**, ზუგდიდის რაიონის ზედა ეწრის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის პარტკომის მდივანი **ა. გვარამია**, ბერდაბნის რაიონის ნორიოს მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივანი **რ. ტაკაშვილი**, ბოგდანოვკის რაიონის ვონდოროს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივანი **გ. თოფვოსიანი**, ლენინგორის რაიონის ზახორის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივანი **გ. ბიტაროვი** და ორბეთის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივანი **ა. გოთუა**. მათ დამსწრეთ გაუზიარეს თავიანთი მომავლის გეგმები, ილაპარაკეს სოფლის მშრომელთა მუშაობის პირობებზე, მათს საჭიროებებსა და საქმიანობაზე, პარტიისა და მთავრობის 1977 წლისა და მთლიანად მეათე ხუთწლედის პასუხსაგები დავალებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ბრძნული მითითებების შესრულებისათვის ბრძოლის დასახელ გზებზე.

შეხვედრაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი **ე. ა. შევარდნაძე**. იგი შეეხო რამდენიმე საკვანძო პრობლემას, რომლებიც გამომდინარეობს ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმის გადაწყვეტილებებიდან. „მშრომელთა შიკრეთების შესრულების ხარისხის გაუმჯობესებისა და მომსახურების კულტურის ამაღლებისათვის რუსეთის სფსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან, ახალი ხუთწლედის მეორე წლის სტარტზე რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების, ყველა მშრომელის წინაშე დასახული აქტუალური ამოცანებიდან.

როგორც ხაზგასმით აღნიშნა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ, ვაჭრობა და საყოფაცხოვრებო სამსახური პარტიული მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროა და ამიტომაც „უთდენ გასაგებია ჯანსაღი წუხილი ამ უბანზე საქმის მდგომარეობისათვის, რაც პლენომის მონაწილეებმა გამოთქვეს. მან აღნიშნა, რომ ამჟამად რესპუბლიკაში შექმნილია ყოველგვარი ნიგატიური მოვლენებისადმი შეუწყნარებლობის ატმოსფერო, რომელიც საშუალებას გვაძლევს ახალი ძალით გავაჩაღოთ ბრძოლა მათ წინააღმდეგ.

ამხ. ე. შევარდნაძემ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ელექტროენერგეტიკაში შრომითი და საწარმოო დისციპლინის მდგომარეობასა და მშრომელი ადამიანებისათვის მათი მუშაობის, დასვენების, ყოფაცხოვრების ხელშემწყობი პირობების შექმნისათვის ზრუნვის ორგანულ ურთიერთკავშირს. მეცხელეობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა დარგების შემდგომი განვითარების ამოცანებზე რომ ლაპარაკობდა, იგი შეეხო კერძო სექტორში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების სისტემის სრულყოფის რამდენიმე დიდმნიშვნელოვან საკითხს. დასახა საკარმიდამო ნაკვეთებზე კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების მოშების შრომის სტიმულირების გზები.

ამხ. ე. ა. შევარდნაძემ საგანგებოდ გაუსვა ხაზი „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების — უდიდესი პოლიტიკური -დოკუმენტის მნიშვნელოვნობას, რომელიც საბჭოთა საქართველოს, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელებს რაზმავს კომუნისტურ მშენებლობაში ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული შეხვედრა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების წინაშე აქამდე მდგომ საჭირბოროტო პრობლემებზე ცოცხალ, ბოლხდილ აზრთა გაზიარებად გადაიქცა.

დიადი იუბილეს შესახვედრად

ს ოხუმის სალოკომოტივო დეპოს მშრომელები გაეცნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“ და პირობას იძლევიან, რომ შრომაში მოპოვებული ახალი წარმატებებით შეეგებებიან სახელოვან იუბილეს: ტვირთზიდვის 1977 წლის სახელმწიფო გეგმას შესასრულებენ 25 დეკემბრისათვის; გადაიყვანენ 3.200 მძიმეწონიან მატარებელს და გეგმის გადამეტებით გადაზიდავენ 1.200 ათას ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთს, დაზოგავენ 840 ათას კილოვატსაათ ელექტროენერგიას და 70 ტონა დიზელის სათბობს.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების წარმატების საწინდარია სოხუმელ რკინიგზელთა რიტმული მუშაობა იანვარში. მათ უკვე გადაიყვანეს 182 მძიმეწონიანი შემადგენლობა და გეგმის გადამეტებით გადაზიდეს 45 ათას ტონამდე ტვირთი.

სუხუმი: სოხუმის სალოკომოტივო დეპოს უფროსი ნ. თოფურიძე მემანქანეებს აცნობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“.

ი. ჰოზონელიძის ფოტო (საინფორმის ფოტოკორონიკა).

ს. ჰუსეინი სსრ კავშირში

1 თებერვალს კრემლის დიდ სასახლეში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მთავრობის სახელით საუზმე გაუმართეს ირანის სოციალისტური აღორძინების პარტიის რეგიონული ხელმძღვანელობის გენერალური მდივნის მოადგილეს, ირაყის რესპუბლიკის რევოლუციური სარდლობის სამჭოს თავმჯდომარის მოადგილეს სადამ ჰუსეინს.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ ამხანაგები ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, სხვა ოფიციალური პირნი.

საუზმის დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა და სადამ ჰუსეინმა წარმოთქვეს სადღეგრძელო, რომლებიც ყურადღებით მოისმინეს და ტაშით შეხვდნენ.

საუზმემ ბოლობილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

იმავე დღეს ს. ჰუსეინი ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში იყო და გვირგვინით შეამკო იგი. მან გვირგვინი მიიტანა ავრორეელ უცნობი ჯარისკაცის საფლავზე.

2 თებერვალს კრემლში გრძელდებოდა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირისა და ერაყის რესპუბლიკის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციებს შორის, რომლებსაც მეთაურობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი და არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის რეგიონალური ხელმძღვანელობის გენერალური მდივნის მოადგილე, ერაყის რესპუბლიკის რევოლუციური სარდლობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე სადამ ჰუსეინი.

მიღწეულია შეთანხმება, რომ გამოაქვეყნონ ერთობლივი კომუნიკე მოლაპარაკების შედეგების შესახებ. (საკდესი).

სსრ კავშირში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ვიზიტი, შეხვედრა

მიღწეულია შეთანხმება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი საიროს რ. ვენსი საბჭოთა კავშირს ეწვევა ამა წლის მარტის დამლევს.

გათვალისწინებულია ვიზიტის დროს განიხილონ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შეთანხმების დადების საკითხი, აგრეთვე ერთმანეთს გაუზიარონ აზრი სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის საინტერესო სხვა საკითხებზე.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

(დასასრული)

ქვეგანყოფის საქმიანობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების ღონისძიებები. აგრეთვე წინადადება მიეცათ უზრუნველყონ საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობის, მატერიალური ბაზის გაფართოებისა და განმტკიცების, მოკმედ სიმძლავრეთა უფრო ეფექტიანი გამოყენების, შეკეთების შესრულების ხარისხის გაუმჯობესების დავალებათა უფრო შესრულება.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა რუსეთის სფსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს კოლეგიას აამაღლოს დარგის ხელმძღვანელობის დონე, რათა ძირეულად გაუმჯობესდეს მთელი მუშაობის ხარისხი. წარმატებით შესრულდეს თვითეული ავტონომიურ რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში საყოფაცხოვრებო სამსახურის განვითარებისათვის მეათე ხუთწლედის დავალებანი. დაჩქაროს ძირითად სახეობათა მომსახურების ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემების შემუშავება და დანერგვა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესოს სმენელ-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების საქმიანობა, განამტკიცოს მათი მატერიალური ბაზა.

რუსეთის სფსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებს დაევალოთ, რათა ეფექტიანად, ისე სოფლად განახორციელონ საყოფაცხოვრებო სამსახურის საწარმოთა მართვის შემდგომი სრულყოფის. წარმოების გამსხვილებისა და სპეციალიზაციის, მომსახურების პროგრესული ფორმების ამაჩქარი დანერგვის, როგორც ქალაქში, ისე სოფლად კომპლექსური მიმღები პუნქტების ქსელის მნიშვნელოვანი გაფართოების ღონისძიებანი; გაფართოონ შინ, სამუშაო ადგილას, მუშათა და სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებში მომსახურების სახეობანი და შეკეთების მიღება. ოსეთიზებული საყოფაცხოვრებო ტექნიკის შიცვლა წინასწარ შეკეთებულით, ამონტაჟებით შეკეთების შესრულება და სხვ.

რუსეთის სფსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ და აღგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მუშაობა მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მშრომელთა მომსახურების ხარისხისა და კულტურის გაუმჯობესებისათვის მიმდინარე შეჯიბრებაში საყოფაცხოვრებო სამსახურის მშრომელთა ჩასაბმელად ობიექტიანი გაკრიბოთ ძალები. ობიექტებით გაკრიბოთ ის მოწინავე კოლექტივებისა და ცალკეული მუშების გამოცდილება, რომლებმაც მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს შრომაში, მხარი დაუჭირონ ოა ნაახალისონ წარმოების მოწინავენი, ყოველნაირად შეუწყონ ხელი თვითეული შრომითი კოლექტივის, თვითეული მუშაკის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

რუსეთის სფსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებს წინადადება მიეცათ:

უფრო სრულად გამოიყენონ შესაძლებლობანი, რათა გაადიდონ საწარმოო სამძლავრეები საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების, მოკმედი და ახალი ობიექტების ათვისების, მუშაობის ცვლიანობის გაზრდის გზით. შექმნან ავტონომიურ რესპუბლიკებში, სამხარეებსა და ოლქებში მოწყობილობის შეკეთების სპეციალური სამსახურები და აღჭურვონ ისინი საჭირო ტექნიკით;

შეიმუშაონ და განახორციელონ საყოფაცხოვრებო სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების ღონისძიებანი, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საყოფაცხოვრებო მანქანების, რადიოსატელევიზიო აპარატურის, ავეჯის შეკეთებელი, ტანსაცმლის ქიმსაწმენდი, თეთრეულის სამრეცხაო საწარმოების დაჩქარებულ მშენებლობას, თანამედროვე მოწყობილობით აღჭურვასა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვას. ქმედითი კონტროლი დაუწესონ საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მწყობრში ჩაყენების დავალებათა შესრულებას.

მნიშვნელოვნად აამაღლონ საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა დაპროექტების ხარისხი, ამასთან ეზრუნველყონ პროექტების შემუშავება წარმოების მაქსიმალური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის გათვალისწინებით, საჭირო პირობების შექმნა მაღალნაყოფიერი შრომისათვის. სსრ კავშირის სახმშენს დაევალა რუსეთის სფსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსთან ერთად განიხილოს საკითხი, რომ შეიცვალოს საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა დაპროექტების ნორმატივები, რათა შრომის უკეთესი პირობები შეექმნათ ამ დარგში დასაქმებულ მუშაკებს, განსაკუთრებით ქალებს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა რუსეთის სფსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, სსრ კავშირის მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს, რუსეთის სფსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროსა და სხვა სამშენებელო ორგანიზაციებს დაავალა, უზრუნველყონ, რომ უთუოდ შესრულდეს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მშენებლობის მოცულობის და საქმესრულებელი გეგმით დაწესებულ ვადაში. სსრ კავშირის მთელი რიგი სამინისტროების ხელმძღვანელებს წინადადება მიეცათ განახორციელონ სჯარო ღონისძიებანი, რათა საქვეუწყებო საწარმოებმა შეასრულონ მოწყობილობის, ხელსაწყოებისა და ინსტრუმენტების, აგრეთვე საყოფაცხოვრებო ტექნიკის გარანტიული რემონტისათვის განკუთვნილი სათადარიგო ნაწილების შემუშავების. წარმოებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის მიწოდების დადგენილი დავალებანი.

სსრ კავშირის მანქანათმშენებლობის სამინისტროს რჩევა მიეცათ მეტი დახმარება გაუწიონ საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებს მოწყობილობითა და ინსტრუმენტებით აღჭურვის, წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებისა და კადრების კვალიფიკაციის გაუმჯობესების საქმეში.

ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ყოველნაირად უნდა შეუწყონ ხელი სამამეწველო საწარმოთა შეფობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებთან შემოქმედებითი თანაშრომლობის განვითარებას.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახმომარაგებას, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოსა და შესაბამის სამინისტროებს დაევალათ განიხილონ საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხები, განხორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რათა მათ მიეწოდოთ საკმარისი რაოდენობის მასალა, ქიმიკატები, პარფიუმერია-კოსმეტიკის ნაწარმი, საყოფაცხოვრებო მანქანების რემონტისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილები, მოწყობილობა, საკონტროლო-საზომი ხელსაწყოები, აგრეთვე სპეციალიზებული ავტოტრანსპორტი, განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობის, უკიდურესი ჩრდილოეთისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონების მოსახლეობის მომსახურებისათვის.

რუსეთის სფსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებს წინადადება მიეცათ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საყოფაცხოვრებო მომსახურების სფერის მუშაკთა საქმიანი კვალიფიკაციისა და ზოგადი განათლების დონის ამაღლებას, პროფესიულ დაოსტატებას, დაკისრებული მოკალობის შესრულებისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების გამომუშავებას. ამ მიზნით უფრო სრულად უნდა გამოიყენონ დასწრებული და დაუსწრებელი განათლების მოქმედი ფორმები, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ტექნიკუმების, სასწავლო-საწარმოო კომბინატებისა და ოლქთაშორისი სკოლების ქსელი, წაახალისონ და განავითარონ დამრიგებლობა. უფრო ფართოდ გაიჩიონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისათვის მიმდინარე მუშაობა, შექმნან სიმამაცის პირობები, რომ ქალიშვილები და ჭაბუკები ეუფლებოდნენ საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემაში გავრცელებულ პროფესიებს. დამატებითი ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს იმისათვის, რომ გაუადვილებოთ შრომის დაცვა, უშიშროების ტექნიკა და საწარმოო სანიტარია, შეეინარჩუნოთ მუშები საწარმოებში, უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ ისინი ბინებითა და სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებით.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაევალა უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის კადრების განაწილების გეგმების შემუშავებისას გაითვალისწინოს მოკავშირე რესპუბლიკების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროთა მოთხოვნილება სპეციალისტებზე, განსაკუთრებით ეკონომიკის, რადიოტექნიკისა და ელექტრონიკის, მანქანათმშენებლობის, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის კერვის ტექნოლოგიის დარგში.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებმა უნდა აამაღლონ საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების პასუხისმგებლობა საყოფაცხოვრებო სამსახურის მუშაობის ორგანიზაციისათვის, უფრო სრულად გამოიყენონ სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შესაძლებლობანი, რათა გაფართოონ სახელოსნოების, ატელიეების, მიმღები პუნქტებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა ობიექტების ქსელი, სისტემატურად განიხილონ ეს საკითხები აღმასკომების სხდომებზე და საბჭოების სესიებზე. უნდა უზრუნველყოთ მუდმივი კონტროლი საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობისადმი, ჩაეცათ ამ საქმეში დაპუტატები, პროფკავშირული აქტივი და სახალხო კონტროლის ორგანოები.

სკკპ სამხარეო, საოლქო კომიტეტებმა, პარტიის საქალაქო კომიტეტებმა და რაიკომებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის განმტკიცებასა და გაუჯობესებას, ამაღლონ მათი როლი მშრომელთა კოლექტივების დასარაზმავად დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, მშრომელთა მომსახურებაში არსებულ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლისათვის, გააძლიერონ კადრებთან მუშაობა, ჩაუნერგონ საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკებს მაღალი მორალური თვისებები, შემკეთის პატივისცემის გრძნობა, აამაღლონ საბჭოთა ადამიანების საყოფაცხოვრებო მომსახურებასთან დაკავშირებული პროფესიების საზოგადოებრივი მნიშვნელობა. სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს რჩევა მიეცა გააქტიუროს კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემაში ქალიშვილებისა და ჭაბუკების მისაზიდად, მხარი დაუჭიროს და წაახალისოს ახალგაზრდობის თაოსნობანი მოსახლეობის სანიმუშო მომსახურების ორგანიზაციის საქმეში.

ცენტრალური, ადგილობრივი გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს დაევალათ სისტემატურად გააშუქონ საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა საქმიანობა, უფრო სრულად გამოაკვლიონ სახალხო მეურნეობის ამ დიდმნიშვნელოვანი დარგის მოწინავე კოლექტივებისა და საუკეთესო ადამიანების გამოცდილება.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვა რწმენა, რომ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები, საყოფაცხოვრებო სამსახურის ყველა მუშაკი, ემზადებიან რა ლენინსშესანიშნავი მოვლენის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისთვის, კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღებენ ბრძოლას მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი განვითარება-გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად და ამით ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების პროგრამის განხორციელებაში.

ᲓᲘᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲘᲐᲓ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲮᲘᲜᲯᲚᲘᲗᲐᲕᲐᲜ

მომჭირნედ, ყაირათიანად

დიდი აღფრთოვანებით ეცნობიან ჩვენი ფაბრიკის მუშაკი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“.

ეს თარიღი დიდმნიშვნელოვანი ნიშნისვეტია არა მარტო საბჭოთა ხალხის, არამედ მთელი მოწინავე კაცობრიობის ცხოვრებაშიც. ყველაფერი, რაც ჩვენს ქვეყანაშია მიღწეული, არის კომუნისტთა პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასის, მთელი საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი აზრისა და უანგარო შრომის შედეგი.

ჩვენ ვამაყობთ სამშობლოს წარმატებებით!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პასუხად ჩვენი საწარმოს მშრომელები კისრულობენ ახალ გადიდებულ ვალდებულებებს სახელოვანი იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის. მოხარული ვარ, რომ რესპუბლიკის ბევრ საწარმოში მხურვალედ დაუჭერეს მხარი ჩემს ინიციატივას „შრომითი საჩუქრების პირადი გეგმა — დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს“.

წლეულს შრომის რაციონალური მეთოდების გამოყენების გზით ვალდებულებას ვკისრულობ ფაბრიკის ზოგო 50 ათასი კვადრატული დეციმეტრი ხისტი ტყავის მაგალ. მოლანავად კი ფაბრიკის კოლექტივმა გადაწყვიტა დაზოგილი ტყავის მასალები დამატებით გამოუშვას 90 ათასი წყვილი სხვადასხვა ფეხსაცმელი.

Ზ. ᲠᲘᲛᲜᲘᲜᲝᲕᲔᲚᲘ,

თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ინანის“ გამომკვეთი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

(საქინფორმი).

პირველი საუბრები

დიდმნიშვნელოვანმა დოკუმენტმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ, — სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა, საყოველთაო მოწონება და ერთსულოვანი ინტერესი გამოიწვია ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივში. ელექტრომექანიკოსებმა ახალი ხუთწლედის მეორე წლის სტარტი კარგად აიღეს. მათ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ინგრის გეგმა-ვალდებულება პირნათლად გაანადგეს. გეგმის გადამეტებით წარმოებულია ათი ცალი ნავთობსაქაჩავი ტუმბო, დიდი რაოდენობის კოოპერირებული ნაკეთობები და საყოფაცხოვრო ვიბრატუმბოები. ისინი ამ შრომითს წარმატებას საიუბილეო წელს უძღვნიან.

ქარხნის კოლექტივში სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალ დადგენილებას ფართოდ განმარტავენ 30 პოლიტინფორმატორი და 80 აგიტატორი. პირველი საუბრები უკვე გამართეს პოლიტინფორმატორებმა რ. ჟღენტამა, ნ. ყუბანეიშვილმა, ა. იმედაძემ, ი. დვალიშვილმა და სხვებმა.

ელექტრომექანიკების საამქროში გამართულ საუბარზე ლენინის ორდენოსანმა ხარატმა ბ. ხაბურზანიამ განაცხადა: — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში მეცნიერულად, ღრმად არის გაანალიზებული ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საკითხები. იგი მოგვიწოდებს თვითეულმა ჩვენგანმა უკეთ იმუშაოს მინდობილ უბანზე.

ქარხნის პარტიულ კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებები ამ მეტად დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის ყოველმხრივი შესწავლის უზრუნველსაყოფად. მალე პარტიული კომიტეტის სხდომაზე დავამტკიცებთ აღნიშნული დადგენილების პროგრამაზეული ფართო პერსპექტიულ გეგმას, რომელშიც, ბუნებრივია, აისახება კოლექტივის პოლიტიკური და ზოგმოსთის ამოცანის ამაღავნების ღონისძიებები. გაანალიზებული და ეკონომიური განათლების სისტემაში ცალკე მეცადინეობები მივუძღვნით აღნიშნული დადგენილების შესწავლას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა რეკონსტრუქციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებზე ახალგაზრდობის აღზრდას.

Ზ. ᲮᲕᲘᲩᲘᲐ,

ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი.

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

საქართველოს მუშათა კლასმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ჩვენი ეკონომიკის განვითარების გზაზე. სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით შეიარაღებულმა შრომელებმა, წარმატებით გაართვეს თავი მეათე ხუთწლედის პირველი წლის ძირითად ეკონომიურ ამოცანას: არაბესაყოფელი, მძიმე და ფეხიანურებული უამინდობის მიუხედავად გადაჭარბებით შეასრულეს სამრეწველო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა და მომხმარებელს წინა წლითან შედარებით თითქმის 320 მილიონი მანეთით მეტი ნაწარმი მიაწოდეს.

გაფიდა რესპუბლიკის მრეწველობის მასშტაბაც: თუ 1975 წლის საშუალოდ ყოველდღე 20,5 მილიონი მანეთის პროდუქცია მზადდებოდა, შარშან ყოველდღიურმა წარმოებამ 21,4 მილიონ მანეთს მიაღწია. პროდუქციის მთელი მატების 80,9 პროცენტი შრომის ნაყოფიერების გადიდებით იქნა მიღებული. მომხმარებელმა გეგმის გადამეტებით მიიღო ათეულობით მილიონი მანეთის საწარმოო დანიშნულების პროდუქცია და ფართო მოხმარების საგნები: თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, მილები, მარგანეცის მადანი, მინერალური სასუქები, სატვირთო ავტომანქანები, შალი, ქსოვილები, წინდის ნაწარმი, თეთრეული, ტრიკოტაჟი და სხვა. გაუმჯობესდა მრეწველობის გაძღოლის სტრუქტურა, შემცირდა ხარჯები, ამაღლდა ეკონომიკის განვითარების ეფექტიანობა. ეს ფაქტორები ხელს უწყობენ ეკონომიკის ინტენსიურ-ტექნიკური ფაქტორების ეფექტიანობის ამაღლებას,

ფაქტები, პრობლემები

ქვეყნიერების ამბები

საქართველოს კორესპონდენტები და უცხოეთის პრესის საგენტოები იუწყებიან

გაერთიანებულ ერებში

პრეზიდენტის ეკონომიკური პროგრამა

ვაშინგტონი. (საქართველო). პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა კონგრესს წარუდგინა ახალი მთავრობის ეკონომიკური პროგრამა. იგი წარმოადგენს ცდას გამოიყენონს შეერთებული შტატების ეკონომიკა უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში ყველაზე ღრმა და ხანგრძლივი ეკონომიკური კრიზისიდან. ორი წლისათვის ნავარაუდევი ეს პროგრამა ითვალისწინებს 31,2 მილიარდი დოლარის ასიგნებას კორპორაციებისა და კერძო პირთა გადასახადების შესამცირებლად საქმიანი კონიუნქტურის გამოცოცხლების მიზნით და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის პროგრამის დასაფინანსებლად, რამაც (იტყობინება) უნდა შეამციროს უმუშევრობის ახლანდელი მაღალი დონე.

როცა პოსტი დავიკავე, განაცხადა ჯ. კარტერმა, ქვეყანაში იყო 7,5 მილიონი უმუშევარი. გარდა ამისა, 1,4 მილიონი კაცი იძულებული იყო არასრულ სამუშაო კვირას ემუშავა, ხოლო კიდევ 1 მილიონმა ამერიკელმა შეწყვიტა სამუშაოს ძებნა, რადგან მისი ძიება ძალიან ძნელია. უფროსელი პრეზიდენტის ეკონომიკური საბჭოს გამოთქვლით, განაგრძო ჯ. კარტერმა, 1976 წელს ამერიკის შეერთებული შტატების საწარმოო სიმძლავრენი მხოლოდ 80 პროცენტით იყო დატვირთული. ამის შედეგად ქვეყანას დაკარგა 132 მილიარდი დოლარის პროდუქცია და მომსახურება.

ზედიზედ სამი კვარტალის განმავლობაში შეიმჩნევა ეკონომიკური განვითარების ტემპის დაქვეითება. [illegible] ეკონომისტმა [illegible] აზრით, თქვა მან, ეკონომიკა—თუ მას სტიმულს არ მივცემთ — 1977 წელს არასაკმაოდ სწრაფი ტემპით გაიზრდება. ახლანდელი ცვლა ზამთარი, ალბათ, კიდევ უფრო შეაფერხებს ამ ზრდას, თუ არაეკონომიური ღონისძიება არ განვახორციელეთ.

ჯ. კარტერი ამტკიცებდა, რომ გათვალისწინებული ღონისძიებანი „ნიშანელოვნად არ დაარღვევენ ინფლაციის ტემპს“ ამერიკის შეერთებულ შტატებში. მან აღიუთქვა ამერიკელებს, რომ მისი მთავრობა არ შეწყვეტს ბრძოლას ინფლაციის წინააღმდეგ, რომელიც, მისი სიტყვით, „ყველას გვძარცვავს“.

ამერიკელ ეკონომისტთა უმრავლესობას მიიჩნია, რომ მთავრობის პროგრამა ძალზე „ფრთხილი და შეზღუდულია“. მან ამიდი გაუცრუა პროფკავშირებს, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს. ისინი აღნიშნავენ, რომ გათვალისწინებული ღონისძიებანი აშკარად არასაკმაოა შეერთებული შტატების უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პრობლემის—უმუშევრობის პრობლემის გადაჭრისათვის. როგორც პრეზიდენტთან არსებული ეკონომიკური საბჭოს თავმჯდომარე ნ. შულცი აღიარებს, უმუშევრობის დონე წლის დასაწყისში ოფიციალურად 7 პროცენტზე უფრო მაღალ დონეზე იქნება. „ძალიან ცოტაა და ძალიან გვიან არისო“, — განაცხადა პროგრამის კომენტარში ეროვნული საქალაქო ლიგის აღმასრულებელმა დირექტორმა ვ. ჯორდანმა.

ს. ვენსის პრეს-კონფერენცია

